ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 174

"15" აპრილი 2025 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ფონიჭალის დასახლებაში, მე-3ა მიკრორაიონის კორპუს №3-ში (საკადასტრო კოდი: №01.18.13.021.001.01.021) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის 118[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქალაქ თბილისში, ფონიჭალის დასახლებაში, მე-3ა მიკრორაიონის კორპუს №3-ში (საკადასტრო კოდი: №01.18.13.021.001.01.021) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 8 აპრილის №25.583.650 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ფონიჭალის დასახლებაში, მე-3ა მიკრორაიონის კორპუს №3-ში, მე-7 სართულზე არსებული ბინა №21-ის ფართით 85.28 კვ.მ. ფართობის N21 ბინის (საკადასტრო კოდი: №01.18.13.021.001.01.021) პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, გიორგი ჩაჩანიძისთვის (პ/ნ 01015025462) გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე